№ 119 18 თიბათვე, კვირა 1866—1878 18 თიბათვე, კვირა № 119

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფერთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მარტო ნახევარი წლის გაზეთის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მიიღონ, რაც შეიძლება დაუჩქარონ დანარჩენი (მეორე ნახევარის) ფულის შემოტანას.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბერლინი,** 16 ივნისს. არც ერთი სახელმწიფო წინააღმდეგობას არ გაუწევს ავსტრიას, თუ იმან მოინდომა თავის ჯარებით ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერა.

**ვენა,** 15 ივნისს. „Polit. Corresp.“ გვატყობინებს სტამბოლიდამ, რომ რუსის ჯარებმა დაიწყეს არა საყურადღებო მოძრაობა, რომელიც მდგომარეობს მასში, რომ მოაგროვოს მთლად თავის ჯარი ერთად, თუ ვინიცობა რამ შემთხვევა მოხდება.

**ათინა,** 15 ივნისს. კანსის მახლობლად აგერ სამი დღეა რაც გაცხარებული ბრძოლაა ოსმალებსა და კრიტის განდგომილების შორის თვითონ ოსმალები დაეცნენ თავს ბუხარესტის მცხოვრებლებს. 15 ივნისს ბერლინიდამ აქ მოვიდა არა სასარგებლო ამბავი რუმინიის შესახებ. ამბობენ რუმინიის წარმომადგენელნი იმ დასკვნაზედ დადგნენ, რომ იგინი არავიზედ არ უნდა იყვნენ დამყარებულნი და თვითონ უნდა დაიხსნან დუნაიის მაზრა.

**ლონდონი,** 16 ივნისს. ოსმალეთის დელეგატებს კონსტანტინოპოლიდამ მიუვიდათ ბრძანება, რომ წინააღუდგნენ ვადის დანიშნვას ავსტრიისაგან ადგილების დაჭერაზედ. ოფიციალური წრეები გაბრაზებული არიან ანგლიაზედ. „Times“-ში სწერია: გორჩაკოვმა წარმოსთქვა სიტყვა კონგრესზედ; ჩემმა ამხანაგებმა რუსეთის სახელობით დაჰთმეს ბევრი რამ, რომელიც წინათვე იყო გადაწყვეტილი, მაგრამ მეტის-მეტად გადააჭარბეს. მე მაინც კარგად ვიცნობ ჩემი ამხანაგების აზრებს და ამისათვის იმათ წინ არ აღუდგები იმისთვის, რაც უკვე დათმეს. მე მინდა მხოლოდ გამოვაცხადო, რომ ეს დათმობა მოხდა მშვიდობიანობის სურვილით და არა გვაქვს მხედველობაში ვიწრო მიზანი. ბიკონსფილდმა კონგრესსის სახელობით მადლობა გადაუხადა მათთვის და აქვს იმედი, რომ მომავალშიაც ეგრეთვე იმოქმედებენ, როგორც აქამდისინ მოქმედობდნენ.

**ლონდონი,** 15 ივნისს. ოსმალეთის წარმომადგენელთ კონგრესზედ, როგორც ეტყობათ, ბოლგარიაში მყოფი დუნაის სიმაგრეების დანგრევა იმ გვარ გადაწყვეტილებად მიაჩნიათ, რომლისათვისაც ოსმალეთს თავის გამოდება შეუძლიან. უკანასკნელ ხანში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელთ შორის მოხდა რამოდენიმე კერძო დათანხმებაები, რომელთაც მორიგების ხასიათი აქვსთ.

**ბერლინი.** აღმოსავლეთის რუმელიას დაარქვეს სახელად „ვალდილსტეონი“.

**პეტერბურღის ბირჟა,** 16 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97—50 |
| მეორესი — — — — | 96—23 |
| მესამესი — — — — | 96— 5 |
| მეოთხესი — — — — | 95 –87 |
| აღმოსავლეთის — — | 94—87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— | 8—15 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 238 –75 |
| მეორე სესხის — — — | 234— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— | 24—60 | პენსი |
| ამსტერდამი— | 124—50 | ცენტი |
| ჰამბურგი— — | 209—„ | პფენიგი |
| პარიჟი — — | 257—„ | სანტიმი |

# საქართველო

## დღიური

** მოგეხსენებათ, რომ სოფელს ქ. ხ-ში ამ რამდენიმე თვის წინათ გაიხსნა საკვირაო შკოლა, რომელშიაც მოზდილი ხალხი დაიარება და სწავლობს. ამ საკვირაო შკოლაში სხვათა შორის ადგილობრივი ნაიბი (მაზრის უფროსი) ასწავლის და უხსნის ხალხს სოფლის ხალხისათვის საჭირო კანონებს.

გაზეთის „ივერიის“ მეჯვრიხეველი კორრესპონდენტი გვაცნობებს ახლა, რომ ამ გვარი სწავლა—სოფლის ხალხისათვის საჭირო კანონებისა—მეჯვრისხევის შკოლაშიაც შემოუღიათ.

რასა თქმა უნდა, რომ ეს ამ გვარი ცოდნის გავრცელება ჩვენს ხალხში ყოვლად საქები საქმეა და ამიტომაც სასურველია, რომ სხვა ჩვენი სასოფლო შკოლებიც წაბაძავდნენ ამ შემთხვევაში ქახისა და მეჯვრი-ხევის შკოლებსა.

** გაზეთის „კავკაზის“ ალექსანდროპოლელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ იმ საშინელის წვიმასა და ნიაღვარს, რომელიც ამ თვის პირველს ყოფილა ამ ქალაქში, 14 სახლი დაუნგრევია და 15 კაცი დაუღრჩვია. მაღაზიებში დადუქნებში შევარდნილს ნიაღვარს დიდ ძალი საქონელი მოუტაცნია, წაუღია და მეორე-მესამე დღეს ტალახში გახვეული და გაფუჭებული უნახავთ.

** დიდი მთავრის ნამესტნიკის ბრძანებით ხაზინისაგან დანიშნული იყო შვიდი ათასი მანეთი კოჯრისათვის. ეს ფული ცალკე კომისიას აქვს მინდობილი, რომელიც ამ საქმის თაობაზე ზრუნავს. როგორც გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, ხსენებულს ფულით კომისიას გაჰყავს კოჯორში ზოგიერთი ახალი ქუჩები, გაუკეთებია აუზი, ამოუყვანია კიდევ სხვა-და-სხვა ადგილებზე ოთხი ჭა, დაუდგამს 40 ფანარი და სხვ. ამას გარდა კოჯორში წელს აშენებენ როტონდას.

** ჩვენმა არხეოგრაფიულმა კომმისიამ გამოსცა მეშვიდე ტომი თავის „აქტებისა“. ეს ტომი შეიცავს პასკევიჩის მთავარ-მმართებლობის დროს, ე. ი.

1827 წლიდამ, ვიდრე 1831 წლამდე. ამაში, სხვათა შორის, მოყვანილია ჩინებული სურათი იულონ ბატონიშვილისა, პასკევიჩისა და აბას-მირზისა.

## ხლესტაკოვი ქართლში

ქვემო-მოყვანილი „განცხადება“ მივიღეთ ჩვენ ნაბახტევის საზოგადოების მამასახლისისაგან იმის ხელ-მოწერილი და ბეჭედ დასმული. მკითხველი ნახავს რომ ჩვენი ხამი უმეცარი ხალხის მოსატყუებელ საშუალებებს და ოინებს ახლა ისეთი საშუალებაც მომატებია, რომელიც ასე ნიჭიერად გამოხატა რუსის მწერალმა გოგოლმა თავის ჩინებულ კომედიაში „რევიზორში.“ რედ.

—

„ნაბახტევის საზოგადოების მამასახლის ივანე პაპუაშვილის.

სოფელს ნაბახტევში მცხოვრებლთ ქვემორე—ხელის მომწერელთაგან.

განცხადება.

მქეს რიცხვსა ამა მდგმოიარს თვესსა ჩვენ, ვისაც გვქონდა კიდევ გასატანები საქონლის პატივი, გავზიდდით ურმებითა და დანარჩენნი ხალხნი მუშაობდნენ მინდვრათ სიმინდებზე.

შუადღის შემდეგ ზემოთ რიცხვში სამი ცხენოსანი შემოესივნენ ჩვენ სოფელს ნაბახტევსა და შექნეს ყვირილი—ჩქარა აქ მოდითო! რა მივედით ვიცანით მათში ორი; ერთი სურამში მცხოვრებელი საქო ფარსადანაშვილი, ლოტუაშვილი იყო და მეორე ალში მცხოვრებელი ზაალ პაულის ძე, ფულიჯანოვი იყო.

ვკითხეთ—რას გვიბრძანებ? დიდის მრისხვანეაით: გვითხრეს—ეს ახალი პრისტავი ბრძანდება; მესამე რომელიც იყო. ჩვენ უთხარით: რას გვიბრძანებს? აბას გიბრძანებსთ, დეკანოზოვი გამოსცვალეს და იმის ადგილი მე ჩამაბარესო.

გამოგვეცხადა: ა) თექვსმეტი კაცი სალდათი გაწერიათ თქვენს საზოგადოებას, ჩემზედ არის მონდობილობა მთავრობიდგან კენჭის ყრისაო. რასაკვირველია ამაზედ დედაკაცები შეშინდნენ და იწყეს ტირილი და ვაება; ბ) გამოგვეცხადა, საქონლის პატივი რატომ აქამდისინ არ გაგიტანიათო; რომლებსაც კიდევ დარჩომილები გვქონდა და ვზიდდით, ამაზედ შტრაფი გვკუთვნით. მაშინ მესამე მადგანი, რომელმანც პრისტაობა იჩემა, რუსულათ იყო ჩაცმული, აილო ქაღალდი და მოჰყვა წერას შტრაფებისა, ზოგს დააწერა ხუთი თუმანი, ზოგს ოთხი, სამი, ორი და ერთი; გ) ჩვენ გვაქვს იმ წლის ბზეები დარჩენილი; გამოგვეცხადა, ეს ბზეებიც უნდა გაიტანოთ მინვდრათ და უნდა დაწვათო!

ეს ყოველი ბრძანებები შეიქმნა ჩვენთვის სამწუხარო; მაგრამ შტრაფებმა კი მომეტებულათ დაგვალონა. სად შევძლო ღარიბს ხალხს ამოდენა ფულის გარდახდა. მათში ლოტუევი პერიოდჩიკი იყო; შევეხვეწეთ შტრაფებისათვის გვაჩუქოს და სხვას ბრძანებებს ყველას შევასრულებთ. ჩამოდგა შუა იმ მატყუარს და მაცდურს ტყვიილ პრისტავთან და შეეხვეწა.

მერე დაგვიტკბა და [illegible] ერთ გვიბრძანა, ამაღამ ალში დავრჩები და ქათმები დაგვჭირდება. რასაკვირველია დაფაცურდნენ ეს ორი ლოტუაშვილი და ფულიჯანაშვილი; ერთი ქათამი წაართვეს ქვრივ ტასიას მაისურაძისას, ერთი ქათამი თათო ფაფავერა შვილს, ერთი ქათამი ბაბო ჭედლიძეს, ერთი ქათამი მიხაკო წერეთელს, ერთი ქათამი ბაბო მაისურაძეს, ერთი ქათამი იაკოფა რომელა შვილს, ერთი ქათამა მეცხვარეს ვანო მაისურაძეს, ერთს მეცხვარეს ჯერი, ყველი და სხვა.

რა ეს შემთხვევა გაეგო აბლალა შვილს და დაენახათ მათ, რადგანაც ნასწავლი კაცი არის აბალი, მაშინ შეშინდნენ და წავიდნენ; და ჩვენ ვკითხეთ მხლებლებს:—ამ პრისტავს რატომ ჩაფრები არ ახლავს!? გვითხრეს ვოენობა არის ჩაფრებს სხვა საქმე აქვს და ჩვენ ბეგრათ გამოგვატანეს ახალ პრისტავსაო.

მეორე დღეს ვიკითხეთ ეს შემთხვევა და ვინაობა სოფელს ალში ცრუ პრისტავისა და იქ გვითხრეს—ალის სომხების ტერტერას ძმა იყოვო, რომელიც ვაჭრობს მუთაისში, კარაპეტ მეხითაროვი, და იმ რიცხვში ალში ძმის სანახავათ ყოფილა მისული.

ამაზედ უცხადებთ მამასახლისს, რომ ესოდენი ჩვენი ღარიბის და უცოდინარის ხალხის ამ გვარად მოტყუვილება და შეწუხება იმა ბიწიერთ ხალხთა არ მიეტევოსთ და თქვენის რაპორტით ეს მოქმედებები მოახსენო უეჭველს გორის

# ფელტონი

## საათნავა და მის თანამედროვე მელექსეები

1853 წელს ერთმა სომეხმა გამოსცა სომხურად მოსკოვში მესაზანდრე საათნავას ლექსთა კრება. ამ გამოცემაშივე ჩაურთავს საათნავას მოკლე ბიოგრაფია.

რადგანაც საათნავა საქართველოში, ტფილისში, ცხოვრებდა და ქართულს ლექსებსა და ბაიათებს სწერდა და ბევრი იმის ნათქვამი ახლაც ახსოვს ჩვენში ხალხს, ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ გავიცნათ იგი. ამას გარდა საათნავას გაცნობა მით უფრო სანატრელია, რომ მთელი თავისი სიცოცხლე იმას გაუტარებია საქართველოს წარჩინებულ პირებთან, სხვათა შორის მეფე ირაკლი მეორესთან დაახლოვებული კავშირი ჰქონია.

ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ამ წიგნიდამ და დაუმატეთ რამდენიმე ზეპირ-სიტყვაობით გადმოცემული ჩვენი მოხუცებულებისაგან საავათნავას ცხოვრების შესახები.

სომხები ქართულ მწერლობას მეთვრამეტე საუკუნეში ორად ჰყოფენ: ვახტანგის დროს და მის თანამედროვე მწერლობას 1708 წლიდგან ვიდრე 1726 წლამდე და მეორე 1757 წლიდამ ვიდრე 1795 წლამდე, ესე იგი, როდესაც ჩვენში საათნავა და იმის თანამედროვე მოლექსეები ასპარეზზე გამოსულან.

ეს მელექსეები არიან: პირველი ს ა ა თ ნ ა ვ ა, მეორე ბ უ დ ა ლ - ო ღ ლ ა ნ ი, რომელმაც დასწერა „ანბანთ ქება“, „მზევ, შენ მნათობოვ“ და სხვა მრავალი ლექსები; მესამე ს ტ ე ფ ა ნ ე ფ ე რ შ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, რომელსაც სხვათა შორის დაუწერია „ბანიფხიზლე, გონებავ!“ და „მიკვირს აგრე რად გამწირა სოფელმა!“ მეოთხე გ ა ს პ ა რ ხ ო ს რ ე ვ ი, რომელსაც დაუწერია „შევედი წალკოტს და მზე ვნახე შემოსილი“, „მთიარევ, შუქი გფენია“; მეხუთე ლ ა ზ ა რ - ო ღ ლ ა ნ ი, რომელსაც სხვათა შორის დაუწერია „ვარდმან გამწირა მონებით“ და სხვა.

ამავე დროს გამოსულან სალიტერატუროთ ასპარეზზე სხვანაირი მწერლები, რომელთაც გაუმშვენებიათ ქართული მწერლობა თავიანთ მშვენიერის ლექსებითა: ზ ა ქ ა რ ი ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ყველასაგან ცნობილი და დამსახურებული საქართველოს მეფეების წინაშე. ეს გაბაშვილი იყო დეკანოზი სიონის სობოროსი, განაძევს ტფილისიდამ და მას შემდეგ წოდებულ იქმნა ბესარიონად და ხალხმა უწოდა ბესიკი; მისი შესანიშნავი პოეტიური ლექსები დღესაც იხილვებიან; პ ე ტ რ ე ვით დეკანოზისძე ლ ა რ ა ძ ე, რომელიც ბესარიონ გაბაშვილის თანამედროვე ყოფილა და შინ მმართველი ანტონ კათალიკოზისა. ეს პეტრე ლარაძე რუსეთშიაც ყოფილა; იმას სხვათა შორის დაუწერია „დრო ცვლილი ბუნებულო“, „სიდამ მოიცვა გული“ და სხვ.; ი ო ა ნ ე მ რ ო ვ ე ლ ი, ბერი მრვალმთის მონასტრისა, რომელსაც დაუწერია სხვათა შორის „შეყრილან ერთად

უეზდის ნაჩალნიკს, გარდახდეს მათ კანონი, რომ სხვათაცა არა გაბედონ ამ გვარი სიცრუით მოქმედებანი.

რომელსა ზედაცა ხელს ვაწერთ ნაბახტევში მცხოვრებელნი; ვანო მაისურაძე, ქვრივი ტასია მაისურაძისა, ზაქარია ნოზაძე, ზაზო ჭედლიძე, დათო შავაკვერა შვილი, იაკობა რომელა შვილი, მიხაკა წერეთელი, ზაზო მაისურაძე,— რადგან ამათ წერა არ იციოდნენ ამათის თხოვნით ხელს ვაწერ თასწყალობა საყვარელიძე.

ნამდვილად სწორე არის რომელსაც ვამოწმებ

ნაბახტევის მამასახლისი ივანე პაპუაშვილი

1878-ს ივნისს 11-ს დღეს

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

რუსულ ოფიციოლურს „Agence Russe“ გაუგზავნია რუსულ გაზეთების რედაქციებში 9 ივნისს შემდეგი დეპეშა:

„ინგლისის, ავსტრიისა და რუსეთის წარმომადგენლებს ხშირი მოლაპარაკება აქვთ ბერლინში; მაგრამ, რადგან ინგლისისა და ავსტრიის დელეგატები მუდამ ეწინააღმდეგებიან რუსეთის ყველა წინადადებასა და ჰაზრს, ამის გამო ამათში თანახმობა ძნელად მოსალოდნელია.

„ოსმალეთის წარმომადგენლები კი ძველებურად მოქმედებენ: ისინი ცდილობენ, რომ კონგრესის წევრებ შუა უთანხმოება და განხეთქილება დასთესონ.

„თუმცა ეს ასეა, მაგრამ იმედი კი არის მაინც, რომ ბერლინის კონგრესსი რასმე გაარიგებს; მაგრამ მოლაპარაკება, უეჭველია, დიდხანს გაგრძელდება.“

—

ლონდონის გაზეთის „ტაიმსის“ ბერლინელი კორრესპონდენტი იწერება, ლორდი ბიკონს-ფილდი ცდილობსო, რომ რუსის ჯარები ადრიანოპოლამდინ მაინც დაწეული იქმნესო, მაგრამ ინგლისის ფლოტის სტამბოლიდამ მოშორებაზე კი თანახმა არ არისო.

—

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ იწერებიან ბერლინიდამ:

„მომეტებული ნაწილი კონგრესზე მოგროვილი დელეგატებისა ძალიან დაღონებული არიან, რადგან ეს ათი დღე მოდის, რაც კონგრესსი შეიკრიბა და ჯერ იმათ თითქმის არაფერი გაურიგებიათ.“ თუ ასე წავიდა ჩვენი საქმეო, თქვა გუშინ ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელმა, უეჭველია, რომ მომავალ წლამდინ ვერაფერს გადავწყვეტთო.“

—

„Indép. Belge“-ის ბერლინელივე კორრესპონდენტი იწერება:

„ყველანი იმაზე ლაპარაკობს ამ ქამად აქ, რომ ზოგიერთი სახელმწიფოები რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ კავშირის შეკვრას აპირებენ ერთმანეთშიო. ავსტრია და ინგლისი რომ ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანეთსა და ჭირში და ლხინში ერთად იქნებიან—ეს ყველასთვის ცხადია; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამათ მხარეს იჭერს საფრანგეთიც და შესაძლებელია, რომ იტალიაც ამათ მიიმხრონ.“

—

ამავე გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან:

„პოლიტიკური საქმეების მცოდნე კაცებისაგან გავიგონე მე აქ, რომ ოსმალეთის მმართებლობა არამც-და-არამც არ დათანხმდებაო, რომ ვარნის, შუმლისა და რუსჩუკის ციხეებიდამ თავის ჯარები გაიყვანოს და ეს ქალაქები დაუთმოს რუსეთს; პორტა არ დათანხმდება აგრეთვე არც იმაზე, რომ საბერძნეთს რამე დაუთმოს. „ათასიც გადაწყვიტოს ბერლინის კონგრესმა, ჩვენ ამ ორ მუხლში არაფრის დათმობა არ შეგვიძლიანო!“ ისე ამბობენ ოსმალები და ამ მხრით აქაური ინგლისის ელჩი ლეიარდი ამხნევებს ამათა.“

—

სპარსეთიც კი თხოულობს, რომ ბერლინის კონგრესში დაესწროს იმის წარმომადგენელი, რადგან ამ კონგრესში ისეთს საგნებზედ იქნება მოლაპარაკება, რომელნიც სპარსეთის სახელმწიფოს ინტერესებს შეეხებაო. ამბობენ, რომ ამ დღეებში სპარსეთის ინგლისელი ელჩი უნდა წავიდეს ამ საქმის თაობაზედ ლონდონიდამ ბერლინშიო.

# ნარევი

როდესაც ოსმალეთის წარმომადგენელი მეჰმედ-ალი-ფაშა მივიდა ბერლინში და ვიზიტი გაუკეთა თ. ბისმარკს ეს დიდის პატივის-ცემით მიეგება თურ-

---

მკრთოლევარენი“, გამტყორცნა სოფელმა,“ „ვიხილე ტურფა კვიპაროზი“ და სხვ. სოლომონ მდივანბეგი, რომელსაც მშვენივრად უწერია; იმის ზოგიერთ ლექსებმა ჩვენამდინაც მოაღწია; დავით რექტორი, ცუკია, თელავის სემინარიის რექტორი. ამათ გარდა ბეგლარ ორბელიანი, ბარათოვი, ყარიბი, თ. ქობულოვი, თეკლე ბატონიშვილი, ქეთევან ბატონიშვილი, დიმიტრი ბაგრატიონი, რომელმაც „ქეთევან დედოფლის წამება“ დაწერა და დაიბეჭდა მოსკოვს 1818-ს, ბოდერძი ფირალოვი—მდივანი მეფე ერეკლესი—რომელმაც დასწერა მშვენიერი ლექსები და გლოვა ირაკლი მეორესი; ამავე, რუსეთში მყოფობის დროს, გამოსცა ლექსიკონის ქართული და რუსული და ქართული გრამმატიკა.

აგე ამ გვარად მელექსეების რიცხვი თან-და-თან ემატებოდა, ვიდრემდის საათნავა ცოცხალი ყოფილა.

საათნავას დროს გაჯიბრება სცოდნიათ ლექსების წერაში, თუ ვინ უფრო უკეთეს დასწერავსო; მაგრამ ყველაზედ უკეთესი ლექსები ბესარიონ გაბაშვილისა—ბესიკისა ყოფილა, ბერის იოანე მროველისა, გამოგდებულის მღვდლის ყარიბისა, პეტრე ლარაძეძი, საათნავასი და ბუდალ-ოღლანისა, რომელიც ტფილისის დარიის მონასტერში გაზდილა ქართველ ბერებთან, მაგრამ ბოლოს მოლექსეობისათვის ბერებს გამოუგდიათ იქიდამ.

ამათ გარდა საათნავას დროს ჩვენში სხვა მელექსეებიც გამოჩენილან მის მიბაძვით: გარსევან ყორღანოვი, მელქოა ზანგიაშვილი, ქიჩიკნოვა, ლარიბაშვილი ნიკოლოზი და ოქოაშვილი იოანე და სხვა მრავალი, რომლებსაც ქართული ლექსები უწერიათ; ზოგიერთ ამათ ლექსებთაგან დღესაც მღერის ჩვენი ხალხი.

საათნავას დაუწერია ას თოთხმეტი თათრული ლექსი, რომლებსაც დღესაც მთელი კავკაზიის თათრები მღერიან და ორმოც-და-ოთხი სომხური, რომელიც ათას რვაას ორმოც და თორმეტში მოსკოვში დაიბეჭდა.

საათნავა ყოფილა ერთი ტფილისელი ნალბანდის შვილი; მამას დარიის მონასტერში მიუცია ის წიგნის სასწავლებლად და იმავე დროს ლურგლობაც უსწავლია. იმას მაშინვე ჰქონია ლექსების წერის ნიჭი და ძალიან კარგი ხმაც.

შემდეგ ბერებისაგან გამოსულა და ფრანგების პატრებთან მისულა ექიმობის სასწავლებლად; ამავე დროს მესაზანდრობაც უსწავლია. მესაზანდრობისა და ექიმობის გამო კარგათ გაუცვნია იგი ხალხს და იმავე დროს დაუწყვია ლექსების წერაც.

ამ დროს დაუწერია საათნავას ერთი ლექსი შესახებ საქართველოს ბატონყმობისა, რომელიც მთელ საქართველოში მოფენილია; ამ ლექსის დაწერისთვის ზოგიერთა თავადის შვილებს მეფე ერეკლესთან უჩივლიათ, რომ საათნავას ლექსების წერა დაუშალეთო. მაგრამ მეფე ერეკლეს ხმაც არ გაუცია საათნავასთვის.

(დასასრული შემდეგ №-ში)

მე იმას და სხვათა შორის უთხრა:

— თქვენ ცოტათ დაიგვიანეთ.

— შავი ზღვა აღელვებული იყოვო, უპასუხა მეჰმედ-ალი-ფაშამ.

თ. ბისმარკმა ჩაიცინა და უთხრა:

— შავ ზღვაზე დიდი ხანია ღელვაა!

* * *

ფრანციზული გაზეთი „Temps“ გვაცნობებს, რომ პარიჟის მსოფლიო გამოფენის გასამართავად საფრანგეთის მთავრობისაგან 45,300,000 ფრანკი (თითქმის თვრამეტი მილიონი მანეთი) იყო დანიშნულიო. ათ მილიონ ფრანკს გარდა ხაზინა მთელ ამ ფულს დაიბრუნებს თურმე ისევ გამოფენის შემოსავლიდამ. ამას გარდა ზოგიერთი შენობები ისევ დაუნგრეველად დარჩება გამოფენისა ხაზინას და ქალაქს პარიჟის საკუთრებად.

* * *

ბელგრადში (სერბიაში) შემდეგი შემთხვევა მომხდარა. სერბიის წინანდელი მთავრის, მიხაილის სულის სახსენებლად ბელგრადის არხიეპისკოპოსი პარაკლისს იხდიდა. ამ დროს ეკკლესიაში დაესწრო თვითონ ახლანდელა მთავარიც სერბიისა მილანი. წირვის დროს არხიეპისკოპოზმა შეცდომით მიხაილის მაგიერ მილანი ახსენა თურმე, „მოიხსენე უფალო მონა შენი მილანიო;“ ამ უნებური შეცდომისათვის არხიეპისკოპოსი იმ წამავე დაითხოვეს თავის ადგილიდამ.

# განცხადებანი

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ ივნისის 21-ს დანიშნულია მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) იმ საქალაქო მიწის იჯარით (არენდით) მიცემაზედ, რომელიც პუკიაში მდებარებს.

ვისაც დაწერილებით შეტყობა ჰსურს პირობისა ან გაცნობა მამულისა, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში. ხსენებული მამული სამი წლის ვადით მიეცემა მსურველს იჯარით. (3—3)

---

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან.
ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

---

## ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

---

## ქირი

მ სასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს პუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, სადაც მ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

---

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

---

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა

**ისყიდება**: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბექათუბნის უჩქეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერაძესთან, ფოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომლევთან და თვითონ ავტორთან.

---

ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

ქუთაის'ში—ისყიდება
ქართული წიგნი

## „სამზარეულო“

შედგენილი
კ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.
ფასი ათი. შაური

---

| რკ. გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | · | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ. გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 17 ივნისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი | 1 | 20 |
| ქერი ფუთი | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 40 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 20 |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 99 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | — |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს**: ქიუჩარიანცი—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს**: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

**ოთხშაბათს**: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს**: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს**: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს**: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფ., რეხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюня 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.